ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

პანდემიის პირობებში კენჭისყრის პროცესი უსაფრთხოა. კენჭისყრის შენობაში გათვალისწინებულია ინფექციის გავრცელების ყველა პრევენციული ღონისძიება. 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის N4 კრწანისის საარჩევნო ოლქში ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა ელექტრონული საშუალებით განხორციელდება.

კენჭისყრა იმართება 08:00 საათიდან 20:00 საათამდე

გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა.

კენჭისყრის ოთახში შესვლამდე დაიმუშავეთ ხელები შესასვლელში განთავსებული ხელის სადეზინფექციო სითხით.

ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და დროებით მოიხსენით პირბადე იდენტიფიცირების მიზნებისთვის.

კენჭისყრის შენობაში არ დაიშვებით და კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება არ მოგეცემათ, თუ:

- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის წარდგენის დროს დროებით არ იხსნით პირბადეს
- აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება

მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან, რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და დროებით მოიხსენით პირბადე.

გაიკეთეთ მარკირება.

კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება არ მოგეცემათ, თუ:

- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის წარდგენის დროს დროებით არ იხსნით პირბადეს
- უარს აცხადებთ მარკირებაზე

ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა, რეგისტრატორის მაგიდაზე განთავსებული ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილი კალმისტარით.

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური ჩარჩო-კონვერტი.

ამომრჩეველს გადაეცემა ერთი საარჩევნო ბიულეტენი, რომელიც დაყოფილია სამ სვეტად:

- პირველ სვეტში შეტანილია პარტიების სახელწოდებები დადგენილი რიგითობის შესაბამისად;
- მეორე სვეტში შეტანილია არჩევნებში მონაწილე მერობის კანდიდატების რიგითი ნომერი, სახელი, გვარი და წარმდგენი სუბიექტი;
- მესამე სვეტში შეტანილია მაჟორიტარულ ოლქში ასარჩევად წარდგენილი კანდიდატების რიგითი ნომერი, სახელი, გვარი და წარმდგენი სუბიექტი.

გადმოცემულ საარჩევნო ბიულეტენზე, რეგისტრატორის მითითებით, სპეციალური მარკერით გააფერადეთ საცდელი წრე.

- უსინათლო ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შესავსებად შეუძლია რეგისტრატორისგან მიიღოს სპეციალური ჩარჩო-ფორმა.
- მცირემხედველ ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შესავსებად შეუძლია რეგისტრატორისგან მიიღოს გამადიდებელი ლინზა.
- ყრუ ამომრჩეველს ხმის მიცემის პროცედურაზე ინფორმაციის მისაღებად შეუძლია ისარგებლოს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორის მომსახურებით, ცესკოს ვებგვერდზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ.

ფარული კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის სვეტში სპეციალური მარკერით გააფერადეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი საარჩევენო სუბიექტის წინ არსებული წრე. შევსებული საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში.

თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა. თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი.

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით, მოათავსეთ საარჩევნო ბიულეტენი ხმის დათვლის სპეციალურ აპარატში.

საარჩევნო ყუთისა და აპარატის ზედამხედველი კომისიის წევრი, საჭიროების შემთხვევაში, გაგიწევთ დახმარებას სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით ხმის დათვლის აპარატში საარჩევნო ბიულეტენის მოთავსების პროცესში.

მას შემდეგ, რაც საარჩევნო ბიულეტენი აღმოჩნდება საარჩევნო ყუთში, დადეთ სპეციალური ჩარჩო-კონვერტი საამისოდ განკუთვნილ მაგიდაზე და დატოვეთ საარჩევნო უბანი.

კენჭისყრის შენობის დატოვებისას ისარგებლეთ გასასვლელში უზრუნველყოფილი ხელის სადეზინფექციო სითხით.